საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №106

ქ. ბათუმი 27 ოქტომბერი, 2017 წ.

ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე
გამონაკლისის დაშვების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიისა და 2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 28 ივნისის №40 დადგენილების 2.3 პუნქტის, „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №2 გადაწყვეტილების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მარინა გიორგაძის (MES 5 17 01305478, 25.10.2017), საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანის მარინა ქორიძის (MES 0 17 01304618, 24.10.2017), ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის გაიოზ ფარცხალაძის (MES 9 17 01312339, 26.10.2017) მოხსენებითი ბარათების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ფუნდამენტური დარგების ხელშეწყობისა და განვითარების მიზნით, „ბსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალის აკადემიური/საათობრივი დატვირთვის, ჯგუფებში სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის და შრომის ანაზღაურების გაცემის წესის“ 26-ე პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად დაშვებული იქნეს გამონაკლისი და ბსუ-ს ზოგიერთი ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების დამატებით/არჩევით სპეციალობებზე სტუდენტთა ოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ფილოსოფიის დამატებითი პროგრამა - 12 სტუდენტით (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი);

ბ) გერმანული ფილოლოგიის დამატებითი პროგრამა - 7 სტუდენტით (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი);

გ) ფრანგული ფილოლოგიის დამატებითი პროგრამა - 10 სტუდენტით (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი);

დ) გეოგრაფიის დამატებითი პროგრამა - 10 სტუდენტით (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი);

ე) ბიოლოგიის დამატებითი პროგრამა - 10 სტუდენტით (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი);

ვ) ქიმიის არჩევითი ბლოკი - 10 სტუდენტი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი);

ზ) ტელეკომუნიკაციის დამატებითი პროგრამა - 10 სტუდენტით (ტექნოლოგიური ფაკულტეტი).

2. წინამდებარე ცვლილებები ამოქმედდეს 2017-2018 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**